# შირაქი
SHIRAKI
გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№29 (9.889)
10 - 17 აგვისტო 2019 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

## ხელისუფლების წარმომადგენლები დედოფლისწყაროელებს შეხვდნენ

გვ. 2



## ამერიკელი მკვლევარი ბრაიან უიტმორი - დღეს ჩვენ ყველა ქართველები ვართ

გვ. 7



გვ. 3

## რატომ არის აუცილებელი ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება?



## „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“



## აგვისტოს ომის გმირები






## მერიისა და წითელი ჯვრის საქველმოქმედო აქცია



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ მალხაზ მერაბიშვილმა მირზაანში მერის წარმომადგენელთან, აკაკი თარაშვილთან ერთად სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს ჰუმანიტარული ტვირთი გადასცა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს წითელი ჯვრის ერთობლივი საქველმოქმედო აქციით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სტიქიით დაზარალებულმა ყველა ოჯახმა ისარგებლა.



C M Y K

# საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!

“საქართველოს უახლეს ისტორიაში დღევანდელი დღე არის ყველაზე მძიმე და ტრაგიკული. ჩვენი ქვეყნის ისტორია ომების ქრონოლოგიაა... ამ ომებს თავისი გმირები ჰყავს. უახლესი ისტორიის გმირების სახელებს ეს მემორიალი გვაცნობს. ისინი, ბოლო 30 წლის განმავლობაში, სხვადასხვა სხვადასხვა ომში დაეცნენ საქართველოს დასაცავად. შესაძლოა, ზოგიერთი ქვეყნისთვის ან ქალაქისთვის 12 გარდაცვლილი ადამიანი არაფერი იყოს, მაგრამ, ცნობილი ლექსის სტრიქონებისა არ იყოს:“საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“ ჩვენთვის თითოეული მათგანის სიცოცხლე ღირებულია!“-განაცხადა 8 აგვისტოს **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა** ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

2008 წლის აგვისტოს ომის 11 წლისთავთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში სამგლოვიარო მსვლელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ, მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გოჩა სამუკაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ გმირთა მემორიალთან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ აგვისტოს ომში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ქართველი გმირების ღვაწლზე მეუფე დიმიტრიმ, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს წევრმა მიხეილ ბახუტაშვილმა ისაუბრეს.

მეუფე დიმიტრი, **ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი:** „დღევანდელი დღეც არის კიდევ ერთხელ გახსენება იმ ტკივილის, იმ ჭრილობის, რომელიც ჩვენმა სამშობლომ უამრავი მიიღო, მაგრამ ბოლო ეს იყო 2008 წლის აგვისტოს თვე. მე ქედს ვიხრი სამშობლოსათვის დაღუპული ვაჟკაცების წინაშე და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ ეს ჩვენი მეგობრები იზრდებოდნენ ჩვენი წინაპრების საგმირო მაგალითზე, ჩვენი თანამედროვე გმირების მაგალითზე კიდევ მრავალი თაობა გაიზრდება. ინებოს უფალმა, რომ ასეთი ტკივილი და განსაცდელი ჩვენს ქვეყანას აღარ ჰქონოდეს. მე, როგორც ერთი რიგითი ადამიანი, ვერ შევეგუები ჩემი ქვეყნის ოკუპაციას, მისი საზღვრების შემცირებას და თუ საჭირო იქნება, საომარ მოქმედებაზეც არ ვიტყვით უარს, მაგრამ ეს ყველაფერი ნაკლები განსაცდელითა და მსხვერპლით უნდა მოხდეს, რათა რაც შეიძლება, ნაკლებმა დედამ ჩაიცვას შავი. ის, რაც ჩვენი ნებით არ დაგვითმია, მას ვერ ჩავთვლით დაკარგულად. დაველოდებით იმ დღეს, როდესაც დადგება ჟამი, რომ სამაჩაბლოც და აფხაზეთიც თავის წიაღს დაუბრუნდება“.

მიხეილ ბახუტაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:** „კიდევ ერთი 8 აგვისტო დადგა, რომელიც გაგვიახლებს-ხოლმე იარებს. საქართველოს ისტორია ხომ გაჟღენთილია საარაკო გმირობის მაგალითებით და არც ეს ბიჭები იყვნენ გამონაკლისები. ამ დღეებში, აგვისტოს მოვლენების გახსენების დროს, სიამაყის გრძნობაც ჩნდება-რომ გმირობა გრძელდება საქართველოში და ამით ქართული გენი უკვდავია!“

მემორიალთან 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული დედოფლისწყაროელი გმირების ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ, რომელთაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა და საზოგადოებამ მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# ხელისუფლების წარმომადგენლები დედოფლისწყაროელებს შეხვდნენ



საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლებისზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მოსახლეობას შეხვდნენ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ სოლომონ პავლიაშვილმა, პარლამენტის წევრებმა თამარ ჩუგოშვილმა, ირაკლი შიოლაშვილმა, ირაკლი სესიაშვილმა და გურამ მაჭარაშვილმა, კახეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, ირაკლი ქადაგიშვილთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად სოფლის მცხოვრებთა საჭიროებების შესახებ ინფორმაცია ადგილობრივებისაგან პირადად მოისმინეს.

ხელისუფლების წევრთა განცხადებით, მათ სოფლის მცხოვრებთა პრობლემები ჩაიწერეს და შეძლებისდაგვარად მოხდება თითოეულ მათგანზე რეაგირება.

შეხვედრები პერმანენტულ რეჟიმში გაგრძელდება- მთავრობის, პარლამენტისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულს ეწვევიან და მოქალაქეთა პრობლემებსა და საჭიროებებს ადგილზე გაეცნობიან.

* * *

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფლების ზემო ქედის, არხილოსკარისა და ქვემო ქედის მოსახლეობას ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვდნენ და იმ საჭიროებებზე მიიღეს ინფორმაცია, რომლებიც სოფლებში აქვთ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა ადგილობრივ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდამჭერ იმ პროგრამებსა და პროექტებზე მიაწოდა დეტალური ინფორმაცია, რომლებსაც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს.

მინისტრის მოადგილემ პროექტებით მიღწეულ შედეგებზეც ისაუბრა.

„ადგილობრივმა მოსახლეობამ გაგვაცნო ის საჭიროებები, რაც სოფლებში არსებობს. ჩვენი მხრიდან, ვისაუბრეთ იმ პროგრამებზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, პროგრამის „დანერგე მომავალი“ ფარგლებში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ზეთისხილის, კაკლის, ნუშის ბაღები 399 ჰა-ზე გაშენდა; 9 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იქნება შეძენილი ამ მიმართულების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეხვედრაზე გამოკვეთილი პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად საჭირო რესურსი გათვალისწინებული უნდა იყოს მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში”, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაწევრიანებით, ფერმერებს შეეძლებათ მეტი სარგებლის მიღება მეცხოველეობის განვითარებისა და რძის გადამუშავების კუთხით.

მხარის გუბერნატორმა, ირაკლი ქადაგიშვილმა მოსახლეობას კახეთის რეგიონში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანობაზე ესაუბრა.

სოფელ ზემო ქედში, არხილოსკარსა და ქვემო ქედში გამართულ შეხვედრებზე მოსახლეობამ დაურეგისტრირებელი მიწები და წყალმომარაგება მთავარ პრობლემურ საკითხად დაასახელა. შეხვედრაზე იმსჯელეს დილიჩის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მიწოდების საკითხის მოგვარებაზეც.

შეხვედრას პარლამენტის წევრები, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# 13 წლამდე ...

13 წლამდე არ ვიცოდი, რეალურად რას ნიშნავდა ომი.

13 წლამდე არასდროს მენახა ჩემს ქვეყანაში ომის შედეგად დამწვარი სახლები, მანქანები, დაღუპული ადამიანები.

13 წლამდე ისიც კი არ ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი წამებში ხდება.

13 წლამდე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ძვირფასი ადამიანების დაკარგვის შიში.

13 წლამდე არ ვიცოდი, როგორი იყო მშობლების ნერვიულობა, არ ვიცოდი, როგორი იყო შვილებისთვის განუზომელი თავდადება, არაფრის შიში.

13 წლამდე არ ვიცოდი, რა შეგრძნებაა, როდესაც ღამე ჩამოგდებული ჭურვის აფეთქების ძალა კილომეტრების დაშორებითაც კი გაღვიძებს.

13 წლამდე არ ვიცოდი, თუ რა შეგრძნებაა, როც შენს წინ გადამწვარ ბანაკს უყურებ.

13 წლამდე არ ვიცოდი, რას ნიშნავდა ომის პანიკა.

13 წლამდე არ ვიცოდი არაფერი დაბომბილ აეროდრომებზე, სამხედრო ნაწილებზე, ბაზებზე, ტექნიკაზე, ქალაქებზე, კორპუსებზე.

13 წლამდე არ ვიცოდი, როგორ ტირის დედა, როცა შვილის ნაღმზე აფეთქების ამბავს ისმენს.

13 წლამდე არ ვიცოდი, რომ თანამედროვე სამყაროშიც არსებობენ გმირები. სამშობლოსთვის თავდადებული, გამოუცდელები, მაგრამ გმირები. არ ვიცოდი.

პათეტიკა არასდროს მხიბლავდა. არასდროს მომწონდა, როდესაც ტექსტები გაჯერებული იყო მსგავსი პათოსით, მაგრამ აგვისტოს ომი ის თემაა, როდესაც შენს ტექსტებს პათეტიკის უფლებას აძლევ. მცირედით, მაგრამ მაინც. ამას პათეტიკასაც ვერ დავარქმევ, ეს უბრალოდ გამოძახილია წლების განმავლობაში ნაგროვები და დალექილი მოგონებებისა, შეფასებებისა, ანალიზისა. იმის, რაც გაწუხებს, გახსოვს და წლებიც რომ გავიდეს, ვერ დაივიწყებ.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 170 მოსამსახურე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 224 სამოქალაქო პირი დაიღუპა. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, დაჭრილ/დაშავებულ სამოქალაქო და სამხედრო პირთა რაოდენობა სულ 2 232 პირს შეადგენს. მათ შორის, 1045 სამხედრო მოსამსახურე იყო. რაც შეეხება სამოქალაქო პირებს, აგვისტოს ომში მიღებული ჭრილობების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი მიენიჭა ორ პირს, რომლებზეც გაიცემა სახელმწიფო გასაცემელი. IDFI-ის ინფორმაციით, აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოში 263 598-მდე გაიზარდა დევნილთა რაოდენობა. 2009-2015 წლებში კი, საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში გადაეცა ჯამში 18 679 ოჯახს.

როგორი მშრალი რიცხვებია არა? თითქოს უბრალოდ შეიკრიბნენ ისინი და ახლა რაღაცას გვეუბნებიან. ერთხელ ჩაიკითხავ და მორჩა. შეიძლება არც კი დაგამახსოვრდეს. რეალურად კი ისინი ათასობით ადამიანის სათქმელს ამბობენ, რომლებმაც მშობლიური სახლები იძულებით დატოვეს. ეს რიცხვები იმ ადამიანების სათქმელია, რომლებმაც საყვარელი ადამიანები დაკარგეს. ეს რიცხვები იმ ადამიანების გზავნილია, რომლებიც ამბობენ: „რატომ?“. ეს რიცხვები რუსული ჩექმის იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელებაცაა და ასახავს მხოლოდ და მხოლოდ სწრაფვას იმ ერების დასჯისკენ, რომლებმაც მისგან გათავისუფლება გადაწყვიტეს. ეს რიცხვები ჩაემთვის 11 წლის წინ რომ გეჩვენებინათ, 13 წლის ასაკში, ისინი მხოლოდ რიცხვები იქნებოდა, არაფრის მთქმელი. საქართველო ასეთი უამრავი რიცხვისგან შედგება. საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა. ომების, რომლებშიც უთანასწოროდ ვმარცხდებოდით, ომების, რომლითაც ხშირად გაქრობის საფრთხის წინაშე ვდგებოდით, ომების, რომლებითაც ჩვენი სამშობლოსადმი სიყვარული იცდებოდა, მაგრამ აგვისტოს ხუთმა დღემ ყველა ეს ომი ერთდროულად გადასწონა თითქოს. ის ჩვენ, დღევანდელმა თაობამ თითქოს უფრო ხელშესახებად ვიგრძენით, უფრო ნათლად და სიცხადით შევიგრძენით ის, რისიც ნებისმიერ ადამიანს ეშინია - საყვარელი ადამიანების დაკარგვის, გამოსავლის არქონის შიში, შიში რაღაც პირველის და უნახავის, აქამდე რომ მხოლოდ ისტორიულ წარსულში ვხედავდით, რომელიც იმდენად შორს გვეგონა, რომ საფრთხის შეგრძნება არასდროს გვეუფლებოდა. ამ ომმა გვაჩვენა შიში, რომელიც დღემდე ჩვენთვის უცნობი იყო.

13 წლამდე არვიცოდი, როგორი იყო შიშისფერი.

13 წლამდე ისიც კი არ ვიცოდი, რომ შიშს ფერი ჰქონდა.

13 წლამდე არ ვიცოდი, რომ სულ რამდენიმე წელი იყო საჭირო იმ სოფლების გასაქრობად, რომლებშიც მანამდე სიცოცხლე დუღდა.

13 წლამდე არ ვიცოდი, რომ მხოლოდ 5 დღეა საჭირო გმირების გასაცნობად.

13 წლამდე არ ვიცოდი, რომ გმირებად არ იბადებიან, გმირები ხდებიან.

13 წლამდე არ ვიცოდი, რომ წამის გაელვებას შეუძლია სიცოცხლის შეწირვა.

13 წლამდე არ ვიცოდი შინდისელ ბიჭებზე, შვილისთვის თავგანწირულ მამაზე და ძმაზე გულდამხობილ, მომტირალ ძმაზე, არ ვიცოდი მშველელის მომლოდინე სახეზე.

13 წლამდე ბევრი რამ არ ვიცოდი ომზე. ბევრი რამ არ ვიცოდი სიცოცხლეზე. ბევრი რამ არ ვიცოდი ადამიანებზე, ბევრი რამ არ ვიცოდი გულუბრყვილობაზე, ბევრი რამ არ ვიცოდი პოლიტიკაზეც, ბევრი რამ არ ვიცოდი კიდევ ბევრ რამეზე.

13 წლამდე არ ვიცოდი, რომ ომი, უკვე მარცხია სიცოცხლისთვის!

წლები გადის. წლები არ ჩერდებიან. ისინი უბრალოდ გვახსენებენ, რამდენად შორს ვართ ტრაგედიიდან და რამდენად უფრო ახლოს გვაქვს ის დამარხული ჩვენს გულში. რამდენჯერაც მას ვუახლოვდებით, იმდენჯერ გულში გაჩენილი ჭრილობიდან, რომელსაც „აგვისტოს ომი“ ჰქვია, ტკივილი უნებურად იწყებს ჩვენს სხეულში გავრცელებას და თვალები გვენისლება. ამ დროს რაც შეგვიძლია, ჩვენ, ომგამოვლილ, სიცოცხლესთან დამარცხებულებს, არის ის, რომ ვუთხრათ ერთი მარტივი და მნიშვნელოვანი სიტყვა 400-მდე დაღუპულ ადამიანს: მადლობა! მადლობა თავისუფლებისთვის, მადლობა იმედისთვის, მადლობა თავდადებისთვის! ვფიქრობ და ვერასდროს მივდივარ ერთ საერთო დასკვნამდე, რა შეიძლება უმსუბუქებდეთ საყვარელი ადამიანების დაკარგვით გამოწვეულ ტკვილს იმ ოჯახებს, რომლებმაც აგვისტოს ომში სამშობლოს უწილადეს, არა უფრო მიაბარეს, დაუთმეს თავიანთი შვილები, მამები, ძმები, ბიძები. ვერასდროს ვერ მივხვდებით ამას ჩვენ, ის ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ მადლობა დაგვრჩა მათ სანუგეშებლად. დასანანია, მაგრამ ჩვენ დავმარცხდით, დავმარცხდით ომთან და იმედია... უკანასკნელად!

ქუქუნა ყანჩაშვილი

# რატომ არის აუცილებელი ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება?

**ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხორბლის ტექნიკური რეგლამენტი 2019 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდეს ძალაში, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან, გაურკვეველი მიზეზების გამო, მისი დამტკიცება ჭიანურდება - ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია HUB Georgia-ს ანალიტიკოსმა მაია კაციტაძემ, ხორბლის ტექნიკური რეგლამენტზე საუბრისას განაცხადა, რომლის თანახმადაც, გაკონტროლდება, როგორც იმპორტირებული, ისე ადგილობრივი ხორბლის ხარისხი.**

როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება დღის წესრიგიდან მოხსნის ფინანსთა მინისტრის ბრძანების ძალაში შესვლის საჭიროებას, ხორბლის სამანქანო გადაზიდვების აკრძალვის შესახებ, რომლის ამოქმედებაც 1 ოქტომბერს იგეგმება.

**- თქვენი შეფასებით, რას შეცვლის ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედება?**

-საქართველოს მიერ მოხმარებული 600,000-650,000 ტონა ხორბლიდან, თავად ქვეყანა აწარმოებს 10-15%, ხოლო დანარჩენი რაოდენობა იმპორტირებულია. ანუ წლის ჭრილში, საუბარია 500,000-550,000 ტონა ხორბლის იმპორტზე.

ხორბლის ტექნიკური რეგლამენტის შემოღებით, შესაძლებელი იქნება თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. თვალსაჩინო იქნება, თუ რა ხარისხის ხორბალი შემოვა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, თუ რა ტრანსპორტით იქნა შესრულებული გადაზიდვა (მანქანა, გემი, რკინიგზა). ხორბალი შემოწმდება ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოებაზე მესამე მხარის - აკრედიტებული სუპერინტენდანტის მიერ. გადაზიდვის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნება სატრანსპორტო საშუალების შემოწმება მის ჰიგიენურ მდგომარეობაზე, რაც აღმოფხვრის ხორბლის დაუშვებელ პირობებში გადაზიდვას. მოკლედ რომ ვთქვათ, თითოეული მოქალაქე გარანტირებული იქნება მის რაციონში არსებული ხორბლიდან მიღებული პროდუქტების ვარგისიანობაზე.

**-დღესდღეობით რამდენად აკმაყოფილებს საქართველოში იმპორტით შემოსული ხორბლის ხარისხი შესაბამის მოთხოვნებს?**

-საზღვაო გზით შემოტანილ ხორბალში, ყოველთვის დაცულია ხარისხი და უსაფრთხოება. ეს განპირობებულია იმით, რომ ხორბლით ვაჭრობის შემთვევაში, საზღვაო გზა წარმოადგენს უპირობოდ აღიარებულ მეთოდს. შესაბამისად, უკვე არსებობს მრავალწლიან გამოცდილებაზე დაფუძნებული საერთაშორისო რეგულაციები, რისი დაცვა და კონტროლიც სავალდებულოა ყველა მონაწილე მხარისათვის.შედეგად, საზღვაო გზით შემოსული ხორბალი, ყოველთვის არის სანდო იმ მიზნებისათვის მოსახმარად, როგორც ეს დადგენილია ხარისხისა და უსაფრთხოების სერტიფიკატში.

თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია, ზღვიდან შემოტანილი ხარისხიანი ხორბალი იშვიათი გამონაკლისი გახდა საქართველოს გადამამუშავებელი სექტორისთვის, ვინაიდან ქვეყანაში გამოჩნდა რუსეთიდან სამანქანო გზით, ლარსის გამშვები პუნქტის გავლით შემოტანილი ნახევრად ლეგალური პრაქტიკულად, უსაბუთო ხორბლის სამანქანო, 25-ტონიანი, პარტიები.

საავტომობილო გადაზიდვით მიღებული ხორბალი ნამდვილად გულისხმობს შედარებით იაფ ფასს ზღვასთან მიმართებაში. მაგრამ ისმის მთავარი კითხვა: რის ხარჯზეა იაფი ასეთი გზით მიღებული ხორბალი? რას მოუტანს ქვეყანას ან თითოეულ მოქალაქეს რამდენიმე კაპიკის დაზოგვა?



**- თქვენი აზრით, რა არის რუსული ხორბლის იაფი ღირებულების მიზეზი და აქვს თუ არა ამ ხორბალს ხარისხთან დაკავშირებული პრობლემები?**

-ქვეყანა პრაქტიკულად გადავიდა რუსეთის შიდა-სარეგიონო გადაზიდვებზე. რაც მარტივად რომ ვთქვათ ნიშნავს - ***ნებისმიერი გადამზიდავი მანქანის მფლობელი რუსულ რუბლზე, ნაღდი ანგარიშსწორებით, იძენს ხორბალს რუსეთის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო მოედნიდან. სწორედ იმიტომ, რომ საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვა არის ქვეყნის შიდა მეთოდი, იგი არ გულისხმობს აუცილებელ ხარისხობრივ კონტროლს.*** ხორბლის რუსეთში შეძენისას და შემდეგ ქვეყანაში იმპორტისას არ ხდება საქონლის ხარისხის თუ უსაფრთხოების გაკონტროლება. სავაჭრო მოედნებზე ხორბალი არ ექვემდებარება დამუშავებას, არ სუფთავდება და არ იქმნება სავაჭრო პარტია.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია, რომ საავტომობილო გადაზიდვა ისეთი პროდუქტისთვის, როგორიცაა ხორბალი, არ არის ტრადიციული მეთოდი, შესაბამისად, ხშირად ხდება მოწოდების წყვეტა სხვადასხვა მიზეზით, ასე მაგალითად, 2018 წლის დეკემბერში მომხდარი პურზე ფასის მატება, გამოწვეული იყო სწორედ ასეთი წყვეტით. ასევე საგულისხმოა, რომ ლარსის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე საჭირო ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო, რისი მოწყობაც ამ ადგილას შეუძლებელია, ვერ ხდება ტვირთის გადაწონვა და შედეგად, თითოეული მანქანაზე 3-4 ტონა ხორბალი შემოდის საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით.

**- რას გულისხმობთ საბაჟო პროცედურების გვერდის ავლაში?**

- ერთ მოწოდებაზე, თითოეულ მანქანას კანონის თანახმად შუძლია არაუმეტეს 25 ტონის გადაზიდვა. საქსტატის მონაცემებით, 2018 წელს საქართველოს მიმართულებით შესრულდა 34,000 რეისი, საიდანაც 60% - 20,500 რეისი შეადგენდა ხორბალს. გამოდის, რომ 2018 წელს საავტომობილო ნაკადით რუსეთიდან საქართველოში შემოვიდა 510,000 ტონა ხორბალი. ავტომანქანის ტვირთამწეობის გათვალისწინებით, დასაშვები დატვირთვა არაუმეტეს 25 ტონა ხორბალია, მაგრამ ძირითადად, შემოაქვთ 28-29 ტონა. თუ დავიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ 20,500 საავტომობილო რეისის მეშვეობით, ქვეყანაში ყოველწლიურად შემოდის 70,000-72,000 ტონა აღურიცხავი ხორბალი. ამ ფაქტის გამო მხოლოდ, წელიწადში სახელმწიფო კარგავს დაახლოებით 5-6 მლნ. ლარს.

**- როგორია თქვენი პოზიცია იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საქართველო დიდი დოზითაა დამოკიდებული რუსეთის ბაზარზე ხორბლის იმპორტის კუთხით, როგორ აისახება ეს ქართულ ბაზარზე?**

- რუსეთიდან სამანქანე გადაზიდვების ზრდა, სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის მიერ საქართველოს კიდევ ერთი მიმართულებით ეკონომიკური ექსპანსია. ფაქტია, რომ საქართველოს ბოლო რამდენიმე წელია აღარ შემოუტანია ხორბალი არცერთი სხვა ქვეყნიდან, გარდა რუსეთისა. ეს კი განპირობებულია საავტომობილო გადაზიდვების დომინირებით ჩვენს ბაზარზე. დღეს, ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო ხორბლის 100% იმპორტი ხორციელდება რუსეთიდან.

***ხორბლით ვაჭრობა, რომელიც მთელს მსოფლიოში ხორციელდება აშშ დოლარში (ვინაიდან საბირჟო საქონელია), ავტომობილით ვაჭრობისას სრულდება მხოლოდ რუსულ რუბლში, მხოლოდ ნაღდი ფულის სანაცვლოდ, რომელსაც გადამზიდავი იძენს საქართველოში და ამით ხელს უწყობს რუსული რუბლის კურსის გამყარებას.*** გარდა ამისა, საერთოდ არ ექცევა ყურადღება ხორბლის შემდგომი გამოყენების მიზნობრიობას (საფურაჟე თუ საწისქვილე); და შემოდის მხოლოდ ერთი სახის ჩანაწერით - “ხორბალი”, როდესაც საზღვაო გადაზიდვებისას ხდება როგორც მინიმუმ 13-15 იდენტიფიკატორის განსაზღვრა და კლასის მინიჭება.

ქვეყანაში არსებული საწისქვილე მეურნეობები, რომელთათვისაც ხორბლის ხარისხი უწინარესი იყო და მათ შორის კონკურენცია სწორედ ამ კუთხით მიმდინარეობდა, ახლა ორიენტირებულნი არიან მხოლოდ საფასო პოლიტიკაზე – ხარისხი უგულვებელყოფილია. ეს შედეგი დადგა სამანქანე მოწოდებების ხარჯზე. წისქვილები და სატრეიდერო კომპანიები ველარ ხედავენ აზრს განახორციელონ საზღვაო მოწოდებები, ვინაიდან ნახევრად ლეგარლური სამანქანე მოწოდება ყოველთვის უფრო შეღავათიანი იქნება ფასით, გასაგები და ზემოთაღწერილი მიზეზების გამო. შესაბამისად, წარმოებული პროდუქტის ხარისხი და მისი უვნებლობა ნაკლებად პრიორიტეტულ საკითხად იქცა.

**- პრობლემის მოგვარების გზად რას ხედავთ?**

-პრობლემის მოსაგვარებლად არსებობს ყველასათვის მისაღები გამოსავალი - ხორბლის ხარისხობრივი (ტექნიკური) რეგლამენტის შემოღება. აღნიშნული დოკუმენტი მზადაა და არეგულირებს ბიზნეს ოპერატორის მიერ ხორბლის ბაზარზე განთავსების პირობებს, ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხოების დაცვის ჩათვლით. ასევე, ცვლილებები დაგეგმილია საბაჟო კანონმდებლობის და ნაღდი ფულის მიმოქცევის წესებთან დაკავშირებით. თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან, გაურკვეველი მიზეზების გამო, მისი დამტკიცება ჭიანურდება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მხარე თანხმდება, რომ ხორბლის ტექნიკური რეგლამენტი ხელს შეუწყობს გადამამუშავებელი სექტორის კვლავ თავის რელსებზე დაბრუნებას, რაც ნიშნავს, რომ აღდგება სწორი კონკურენცია ბაზარზე, ხარისხიანი საქონლის გამოყენების კუთხით (და არა მხოლოდ ფასის მხრივ), ასევე შესაძლებელი გახდება ქვეყანაში ხორბლის ნებისმიერი ტრანსპორტით შემოტანა, ხოლო ხორბლის ფასი, ყველა გადაზიდვის შემთხვევაში, იქნება ერთნაირად კონკურენტული.

აღარ გახდება საჭირო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 20 სექტემბრის №357 ბრძანების გადავადება და/ან ძალაში დატოვება, რაც სახელმწიფოს თავიდან აარიდებს ავტომანქანის მძღოლების საპროტესტო აქციებს ხორბლის ავტომანქანებით გადაზიდვების აკრძალვასთან დაკავშირებით.

ქვეყანაში კვლავ გაჩნდება ხორბლის სტრატეგიული მარაგი, რაც ძალიან სჭირდება საქართველოს სასურსათო სტაბილურობისა და ეკონომიკური სირთულეების გადალახვისთვის.

# მცენარეული საკვები ცხოველურის მაგიერ – IPCC გლობალური დათბობის შესაჩერებელ რეკომენდაციებს აქვეყნებს

***კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა ჯგუფი (IPCC) გლობალური დათბობის შესაჩერებელ რეკომენდაციებს აქვეყნებს. „გაეროს“ მიერ 1988 წელს შექმნილი ორგანიზაციის მიზანია, ადამიანებმა გაიაზრონ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული საფრთხეები და ნაკლები ზიანი მიაყენონ გარემოს. აღსანიშნავია, რომ მოხსენების შემუშავებაში მსოფლიოს 52 ქვეყნებიდან 107 წარმომადგენელი მუშაობდა.***

ექსპერტები აცხადებენ, რომ კლიმატის ცვლილება სასმელად ვარგისი წყლის რაოდენობის შემცირებას, ნიადაგის ეროზიას, ფლორისა და ფაუნის გარკვეული სახეობების გადაშენებასა და მსოფლიო ოკეანეში წყლის დონის მატებას იწვევს.

მეცნიერები აცხადებენ, რომ პლანეტის გადარჩენის ყველაზე კარგი საშუალება ადამიანთა კვების რაციონის შეცვლაა. მათი აზრით, ადამიანებმა მეტი მცენარეული საკვები უნდა მიიღონ და რაც შეიძლება მეტად შეამცირონ ხორცის მიღება, რითაც გარემოში ნახშირორჟანგის გამოყოფა მნიშვნელოვნად შემცირდება.

კვლევაში აღნიშნულია, რომ უახლოეს მომავალში მარცვლეულზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზრდება და ის ადამიანთა კვების მთავარი რაციონი გახდება.

ამასთანავე, აუცილებელია საკვები პროდუქტების გონივრულად განაწილება, რადგან ყოველწლიურად საკვების დაახლოებით 30% მოხმარების ნაცვლად, ნადგურდება.

მეცნიერები აგრეთვე მუშაობენ მცენარეული და ცხოველური პროდუქტის ლაბორატორიაში შექმნილი საკვებით ჩანაცვლებაზე. მათი მიზანია ხელოვნურად შექმნილი პროდუქტს ნამდვილის იდენტური კვებითი ღირებულება ჰქონდეს.






# გიორგი აბიათარი



***„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!" — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარშრუტო ტაქსიდან...***

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა...

2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლის წყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

ლიზა აბიათარი, **დედა:** „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანივით შრომობდა, რომ წამოიზარდა ცული აიღო ხელში, მეზობლებს შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...

უყვარდა ფეხბურთი, ჭიდაობა... ხშირად უყურებდა სათავგადასავლო ფილმებს, ამბობდა, მე სიკვდილის არ მეშინია და აუცილებლად უნდა წავიდე ჯარშიო..."

გიორგი აბიათარმა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში ჩააბარა მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.

დედა: „ძალიან მინდოდა მისი დაბადების დღე რომ აღმენიშნა, აღვნიშნეთ, მაგრამ ბევრის დაპატიჟება ვერ შევძელი და მოვუბოდიშე, ყველა ვერ დაგიპატიჟე-მეთქი. მომეხვია, მერე რა მოხდა, 19 წლის თუ სამხედრო ნაწილში გავხდები, 20 წლის ხომ სახლში ვიქნები და მაშინ გადავიხადოთ დიდი დაბადების დღეო..."

დედამ გადაუხადა დაპირებული დიდი დაბადების დღე, ყველა იყო — თანაკლასელები, ნათესავები, ჯარის მეგობრები. აღარ იყო გიორგი... გიორგი ველარც 19 წლის გახდა, ვეღარც ოცის...

დედისერთას ჯარში წასვლა არ ეხებოდა, მაინც წავიდა.

დედა: დედისერთა იყო ჯარში არ მიჰყავდათ, მისი კლასელები მიდიოდნენ და ამბობდა, მეც აუცილებლად უნდა წავიდეო და წავიდა თავისი ინიციატივით. გოჩა ილურიძესთან ერთად იყო სამარშრუტო ტაქსში, ფანჯარა გააღეს და დაგვიძახეს, ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართო. 27 მაისს წავიდა ჯარში. სასჯელაღსრულების დეპარტამენტში იყვნენ, კარანტინს როდესაც მორჩნენ, მკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში გადავიდე თუ დაცვაში დავრჩეო. ნათესავებსაც ჰკითხა, სპეცდანიშნულების რაზმში ურჩიეს. კრწანისში მსახურობდა. ყოველ შაბათ-კვირას ვაკითხავდი, არასოდეს დაუწუწუნია, მაშინაც კი, როცა მუხლზე პრობლემები შეექმნა. 27 ივლისს ღუდუშაურის კლინიკაში მყავდა, მისი მდგომარეობა რომ ნახეს, უთხრეს სამსახურიდან გაგიშვებთო. უარი თქვა, სამსახურს არ მივატოვებ, უბრალოდ, ცოტა ხანი დრო მომეცით, რომ ვიმკურნალოო. 9 აგვისტოს კომისია უნდა ყოფილიყო, უნდა გამოეშვათ... კარგი უფროსობა ჰყავდა, ყურადღებას აქცევდნენ... ბოლოს მაშინ ვნახე, 27 ივლისს, ღუდუშაურის კლინიკაში რომ მყავდა... მთელი დღე ხელი ჰქონდა გადახვეული და მიყვარხარო, მიმეორებდა... რომ გამომაცილა, ჩამეხუტა და ისე დამემშვიდობა.... მას მერე მისი ხმა აღარ გამიგია... 2 აგვისტოს ილიაობაა და მითხრა, შენ ნუღარ ჩამოხვალ, დედი, მე ჩამოვალო...

ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემოწმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვია-წამალს რომ ურიგებდნენ".

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა – მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება.

„რაღაცას ვგრძნობდი, ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი. სულ ტელევიზორს მივჩერებოდი, იქნებ რამე გამეგო, ხან ხვიჩას დედასთან ავდიოდი, იქნებ იმან გაიგო რამე-მეთქი, სადაც ხალხს დავინახავდი შეკრებილს, იქ მივდიოდი, ჩემს დანახვაზე იშლებოდნენ... მიკვირდა რა ჭირთ-მეთქი, მეზობელთან მივედი, გიორგის ვერ ვუკავშირდები, გამომყევი, ბილაინის ბარათი მაყიდინე, დამეხმარე-მეთქი, ეს რომ ვთხოვე, მეზობელმა ზურგი შემაქცია, მეორე მეზობელს უთხრა: წაიყვანეო... თურმე ყველამ იცოდა ჩემი უბედურება, სოფელში მოსულან და უთქვამთ, როგორ მივიდეთ დედამისთანო... როგორმე უნდა გავაგებინოთო. ჩემს დისშვილთან მისულან, ჩემ დასთან... მეზობლები შინ არ მიშვებდნენ, მარტო არ მტოვებდნენ... ჩემი მეუღლე მოვიდა მერე, დაიხარა, მაკოცა. გამიკვირდა, რა მოუვიდა-მეთქი. ჩემს მეუღლეს უკვე სცოდნია რომ შვილი აღარა გვყავს... მითხრა, წადი სახლში, მეც მალე მოვალო. მივედი სახლში, ჩემი და ჩამოიყვანეს, ჩემმა დამ სახლში შემიყვანა, ჩემმა დისშვილმა შემომაპარა, გიორგი დაჭრილიაო... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლესო. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე...

14 აგვისტოს დავკრძალეთ ჯაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება.

ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცმოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვქონდა. შვილი რომ მეყოლება აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მპირდებოდა...

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის" სახელი დაერქვა...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისღა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მაინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდია.

# თეიმურაზ ბერიძე

***შინდისში მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.***

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე:

„ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილებთან სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტზე შესვლა 2006 წელს გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეით ბრიგადაში იყო. წოდებით კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს, რომ დავამთავრებ კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო"- თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ველარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლამეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი."

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირი თეიმურაზ ბერიძე 5 წლის შემდეგ, მშობლიურ მხარეში გადმოასვენეს და ფერიის პანთეონში დაკრძალეს.

კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისში დაიღუპა, იგი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია მედლით "მხედრული მამაცობისთვის", მისი სახელის უკვდავსაყოფად კი ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წლის 8 აგვისტოს, მახინჯაურში ერთ-ერთ ქუჩას თეიმურაზ ბერიძის სახელი მიანიჭა.



თეიმურაზ ბერიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აჭარაში გადავიდა, სწორედ ოჯახის მოთხოვნით დაღუპული სოფელ ფიროსმანიდან ბათუმში გადაასვენეს.

# გოჩა ილურიძე

გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო, სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰკითხა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმოო. ძმამ სპეცნაზში შესვლა ურჩია. შევიდა.

მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარულის მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა...

ომი დაიწყო...

8 აგვისტო. ერედვი. სპეცრაზმელები ჩრდილში ისვენებენ. გადაღლილები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთებთ გულებს – იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება...

გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა...

გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში.

მანანა ყაზანაშვილი, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ერთი წუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარეთ... ვერ შევუწყეთ ხელი.... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკზე“... რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაინც გამონახავდა დროს და რამდენიმე წუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდოდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულოს მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტზე. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თაკილობდა, ორთაჭალაში ციხეებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯართზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით...“

2008 წლის 14 თებერვალს გოჩა 18 წლის გახდა და მალევე გაიწვიეს კიდეც ჯარში.

„25 მაისს მოუვიდა უწყება, მე სამუშაოდ ვიყავი წასული და სამსახურში ჩამომაკითხა, უწყება მომიტანეს და უნდა წავიდეო. იმ დღეს მისი დეიდაშვილის დაბადების დღე იყო და თელავში მიდიოდა. მითხრა: თელავში წავალ, 26-ში მამიდასთან მივალ რაიონში და იქიდან წავალ პირდაპირ ჯარშიო. წავიდა დაბადების დღეზე, მოილხინა. გულმა არ მომითმინა, ბავშვი ჯარში რომ წაიყვანონ, როგორ არ უნდა გავაცილო მეთქი, 27 მაისს დილაუთენია კომისარიატში ჩავედი, იქ ველოდებოდი. ცოტა დაიგვიანა, ძალიან დაღონებული მოვიდა. გადაუღეს სურათები და „მარშრუტკაში“ რომ ჯდებოდა, გადამეხვია, დამკოცნა და გამომემშვიდობა. ძალიან დაღონებული იყო. რა ვიცოდი, რომ ჩემს შვილს ცოცხალს უკანასკნელად ვხედავდი...

ერთი თვე ქუთაისში, გეგუთის ნაწილში ჰყავდათ. ფიცი, რომ მიიღეს, იქიდან კრწანისში გადაიყვანეს, სპეცდანიშნულების რაზმში.

ძმისთვის უკითხავს, კონტრაქტზე ხომ არ გადავიდეო. ძმამ ურჩია სპეცნაზში გადადიო... სულ ორი თვე იმსახურა ქვეყნის დასაცავად და მის თავისუფლებას შეეწირა...

მისი მეთაური ამბობს, საამაყო ჯარისკაცი მყავდაო. გამოვიყვანდი ხოლმე, დავაყენებდი და სხვა ჯარისკაცებს მივმართავდი, მიბაძეთ ამ კაცს და იყავით ასეთი ვაჟკაცები, როგორიც გოჩააო...

ხშირად ველაპარაკებოდით ტელეფონზე, ძალიან მოსწონდა ჯარში ყოფნა, ვარჯიშობდა და თავს კარგად გრძნობდა. ერთხელ მითხრა: სირბილში მეორე ადგილი ავიღეო...

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიმალა, მომატყუა მარნეულში ვართ ნაწილში, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეჭვებულიყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა, მას მერე აღარ მინახავს...''

დაიწყო აგვისტოს ომი. გოჩაც და მისი უფროსი ძმაც ომში იბრძოდნენ, დედა დაკავშირებას ვერ ახერხებდა ომში წასულ შვილებთან.

„ვერაფრით ვუკავშირდებოდი ბიჭებს, ომი იყო და 2 შვილი სად მყავდა, არ ვიცოდი. 9 აგვისტოს გოჩას უსულო სხეული მომიტანეს სახლში, დედა მოუკვდეს...

7 აგვისტოს გორში ჩაუყვანიათ და შემდეგ ერედვში შესულან.

ორი დღე და ღამე ფეხით უვლიათ და დასასვენებლად ხის ჩრდილში გაჩერებულან, მეთაურებს უთქვამთ, დაისვენეთ ცოტა ხანიო. მაგ დროს დაწყებულა დაბომბვა... ზოგი წამომჯდარი ყოფილა, ზოგიც წამოწოლილი, კასეტური ბომბი, რომ ჩამოუგდია თვითმფრინავს, რამდენიმე წამი რომ გასულა, მერე აფეთქებულა, ვინც ფეხზე წამომდგარა, ძირითადად ისინი დაიღუპნენ და დაიჭრნენ... გოჩა მაშინვე დაღუპულა, მარჯვენა ფერდში ჰქონდა ჭრილობა, მეორე მხარეს გადიოდა... ამ დროს უფროსი ბიჭი უკვე ცხინვალში იყო. არც ის გვეუბნებოდა სად იყო... ე რ თ მ ა ნ ე თ ი ვერ უნახავთ, ვერც ვერაფრით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...“



გოჩას დაღუპვის ამბავი გამგეობას შეატყობინეს, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა დედისთვის - შვილი აღარ გყავსო.

დედა: „მთელი დღე არაფერს მეუბნებოდნენ, შებინდებისას მთელი ეზო გაივსო... ჩემს თავს რომ უბედურება ტრიალებდა, მივხვდი, ვერავინ მიბედავდა თქმას, მე უფროს ბიჭზე ვფიქრობდი, გიორგის ხომ არ დაემართა-მეთქი რამე. გოჩაზე ერთი წამით ცუდი არ მიფიქრია...

უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა...

არ გადის წუთი და წამი, რომ თვალწინ მისი სახე არ მედგას...

პატარა ძმას შეისვამდა მოლმე კისერზე და დაატარებდა. ძალიან ათამამებდა, მიჰყავდა მაღაზიაში, ტანსაცმელს და კანფეტებს ყიდულობდა...

ამბობდა სიყვარულის დღეს ვარ დაბადებული და დიდი სიყვარული მეწვევაო. შეყვარებული არ ჰყავდა, ერთი გოგო მოსწონდა, მაგრამ არაფერს ამბობდა ჩვენთან. მისმა მეგობრებმა გვითხრეს მერე...

მორიდებული და უთქმელი ბიჭი იყო, მისი ზემდეგი ამბობს, მე გოჩას თვალები არ მახსოვს, სულ თავჩაღუნული იდგა და ისე ლაპარაკობდაო...

ხათრიანი ბიჭი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი. კლასელები იხსენებენ, ჩხუბში რომ ვიყავით და გოჩას დავინახავდით, უკვე აღარ გვეშინოდაო. გამხდარი იყო, მაგრამ ძალიან ძლიერი...“

გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

**მასალები მომზადებულია წიგნიდან „გმირები“**

# გიორგი მარსაგიშვილი — გმირი ეკიპაჟიდან ,,კობრა“

## აგვისტოს ომის კიდევ ერთი დედოფლისწყაროელი გმირი, რომელიც მარადიული „ღიმილის ბიჭების“ არმიას შეუერთდა



გიორგი მარსაგიშვილი, ზემო ქედელი ახალგაზრდა, განსაკუთრებულ დავალებათა მესამე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოიერიშე ათეულის მეთაურის მოადგილე, იმ გმირებს შორისაა, რომელთა კვალიც ცხინვალში იკარგება.

საქართველოს კანონმდებლობით, თუ ადამიანი ორი წლის განმავლობაში ვერ მოიძებნა, გარდაცვლილად ცხადდება. შესაბამისად, კანონით, გიორგი მარსაგიშვილიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულად არის შერაცხული, თუმცა მისი ცხედარი აღმოჩენილი ვერ იქნა და მისი გაუჩინარებაც ბურუსითაა მოცული. გიორგი მარსაგიშვილს შს სამინისტროში მუშაობა სამი თვის დაწყებული ჰქონდა. განსაკუთრებულ დავალებათა მე-3 სამმართველოში კონკურსის წესით შეირჩა. ოჯახს იგი 2008 წლის ივლისიდან აღარ უნახავს. ომში წასვლამდე ერთი თვე კოდორში იყო მივლინებით. თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდა და სახლში მისვლაც ვერ მოასწრო, რადგან შს სამინისტროში, ცხინვალში შექმნილი ვითარების გამო, ყაზარმული მდგომარეობა გამოაცხადა.

გიორგი 1981 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა დედოფლისწყაროში. პატრიოტი ახალგაზრდა აგვისტოს ომში პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ლიზი.

ალინა მარსაგიშვილი, **გიორგი მარსაგიშვილის მეუღლე:** „გიორგი ერთი თვე ნანახიც არ გვყავდა. კოდორში იყო. იქიდან ჩამოსვლა მოასწრო, სანამ სიტუაცია გართულდებოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ყაზარმული გამოცხადდა. სახლში მოსვლა ველარ მოასწრო, წავიდა ომში და იქიდან აღარ დაბრუნებულა.

**– ბოლოს როდის ესაუბრეთ მას?**

- 7 აგვისტოს ვესაუბრე ტელეფონით, მაგრამ იქ არსებულ სიტუაციაზე, რა თქმა უნდა, არაფერს ამბობდა. მას შემდეგ ველარ დავუკავშირდით. ვიცით მხოლოდ, რომ ააფეთქეს დაჯავშნული ავტომანქანა ,,კობრა'', რომელშიც ის იყო ეკიპაჟის რამდენიმე წევრთან ერთად. ჩემი მეუღლე დღემდე ითვლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, კანონის შესაბამისად ორი წლის შემდეგ ის გამოაცხადეს დაღუპულად, მაგრამ დღემდე მისი ცხედარი ნაპოვნი არ არის. რომ ველარ დავუკავშირდით, ნაწილში მივედით, გვითხრეს ჯერ არაფერი ვიცითო, დღემდე ასეა. ჩვენ მინდობილი ვიყავით შს სამინისტროზე და გვჯერა და გწამს, რომ უტყუარ ინფორმაციას მოგვაწოდებნდნენ.

**– რა შეგიძლიათ გაიხსენოთ მის შესახებ, რას იხსენებენ მისი თანამშრომლები?**

— ამ თემაზე საუბარი არ უყვართ, არაფერს ამბობენ და არც იხსენებენ, იმიტომ რომ ,,კობრას'' ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა. ჩემი მეუღლე მაშინ 26 წლის იყო, ბავშვი სამი წლის ხდებოდა, მაგრამ მამა ძალიან კარგად ახსოვს. დღე არ გავა, არ გაიხსენოს. იცის, რომ მამა ომში დაეღუპა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა იყო, როგორც ჩანს, ოჯახში, ჩვენი საუბრებიდან გააანალიზა, მე მისთვის კონკრეტულად არაფერი მომიყოლია. ლიზი მამამისის ასლია, ერთმანეთის განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდათ, ჩემს შვილს არ გავათხოვებ, ეს მამიკოს სიცოცხლეაო, ამბობდა. თავისუფალ დროს სულ შვილთან ატარებდა. ძალიან უყვარდა თავისი სამსახური, ძალიან მონდომებული და პატრიოტი, სულით ხორცამდე იყო ჩართული თავის სამსახურებრივ საქმიანობაში. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ფორმას, რომელიც მან ჩაიცვა.

**— ცხინვალის ცენტრში შესვლას დიდი გამბედაობა სჭირდებოდა...**

— დიახ, ეს იყო ძალიან დიდი გმირობა. ის მოხევე იყო, სისხლი და ჟიში მაინც თავისას შვრება, ეს მამაცობა მას გენში ჰქონდა. შეიძლება გრძნობდა კიდეც საფრთხეს, ბოლო პერიოდში აკვიატებული ჰქონდა, მე მთებში უნდა დავიმარხოო.

**— როგორ ფიქრობთ, მისმა ქვეყანამ დაუფასა გმირობა თქვენს მეუღლეს?**

— დიახ, ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ შს სამინისტროს მხრიდან. საჩუქრად ბინა გადმოგვცეს, დამასაქმეს. ბავშვზე ზრუნავენ, კარგ სკოლაში მიიყვანეს და ყოველთვის იზიარებენ ჩვენს გასაჭირს და პრობლემებს.

**— როცა ადამიანს არა აქვს საფლავიც კი და ის ცხადდება გარდაცვლილად, ალბათ ერთის მხრივ ძალიან მძიმეა, მაგრამ არის თუ არა ეს დამაიმედებელი გარემოება თქვენთვის?**

— როცა ადამიანს არ დაასაფლავებ, მაინც რაღაც გულის სიღრმეში არის და სანამ ვიცოცხლებთ, გვექნება იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება.



# არის თუ არა ბარიერის დაწევა პარლამენტის ნოეს კიდობნის პრინციპით დაკომპლექტება?!

***საქართველოს საარჩევნო კოდექსი ცვლილებების მოლოდინშია. პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ განაცხადა, რომ მმართველი გუნდის მიერ შემოთავაზებულ ამ ცვლილებებს ოპოზიციის მხარდაჭერა და მათი მხრიდან პასუხისმგებლობის გაზიარება დასჭირდება. „1 თვის წინ მივიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ 2020 წლის არჩევნები ნულოვანი ბარიერით პროპორციული სისტემით ჩატარდეს. ამით უარი ვთქვით უპირატესობაზე, რომელსაც მაჟორიტარული მანდატები გვანიჭებდა. ჩვენ გვსურს გავხსნათ პოლიტიკური სისტემა მონაწილეობისთვის, რათა მომავალში საქართველოში პოლიტიკა იყოს უფრო დემოკრატიული, დაბალანსებული და მშვიდი. დღეს ვიწყებთ კონსულტაციების მესამე რაუნდს, რომელშიც ოპოზიციური პარტიების ფართო სპექტრი, სამოქალაქო საზოგადოება და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები მონაწილეობენ. წარმოგიდგენთ შემდეგ ცვლილებებს:***

1) კონსტიტუციურ კანონპროექტს, რომლის თანახმად, არჩევნები ჩატარდება პროპორციული წესით და ნულოვანი ბარიერით 2020 წელს.

2) შეიცვლება პარტიების დაფინანსების სისტემა უფრო სამართლიანი და ობიექტური მოდელით, სადაც პარტია, რომელიც თუნდაც ერთ მანდატს მოიპოვებს პარლამენტში, დაფინანსებას მიიღებს არჩევნებში მოპოვებული ხმების შესაბამისად, ახალი, გამჭვირვალე და მარტივად გასაგები ფორმულით. მცირე პარტიები მიიღებენ შედარებით მეტ დაფინანსებას.

3) პარლამენტში შესული პარტია, რომელსაც არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ სიაში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის ეყოლება, კვლავაც მიიღებს 30%-იან დანამატს, რაც საერთო დაფინანსებაში ძალიან სოლიდურ ბონუსს წარმოადგენს.

4) უფასო საეთერო დრო სამართლიანად და თანაბრად განაწილდება პოლიტიკურ პარტიებზე, დაუშვებელი იქნება ერთი პარტიის მიერ საკუთარი დროის გადაცემა სხვა პარტიისთვის. სატელევიზიო დებატებში მონაწილეობა იქნება თანაბრად ხელმისაწვდომი.

5) ცენტრალური საარჩევნო კომისია, ასევე, ქვედა დონის საარჩევნო კომისიები დაკომპლექტდება 13 წევრისგან, რომელთაგან 7 წევრს კომისიაში პოლიტიკური პარტიები შეიყვანენ ისე, რომ ოპოზიციას გარანტირებულად ექნება მეტი ადგილები კომისიებში, ვიდრე მმართველ პარტიას.

6) წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობა და კონტროლი იქნება უფრო ეფექტიანი, გამჭვირვალე და ნაკლებ ბიუროკრატიული.

7) პარტიის რეგისტრაცია 2020 წლის არჩევნებისთვის შესაძლებელი იქნება 5 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერით, ხოლო მხარდამჭერთა სიების გადამოწმების მექანიზმი მარტივდება.

8) ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველი უფლებამოსილი იქნება ხმის მისაცემად თავად შეარჩიოს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ნებისმიერი ადაპტირებული საარჩევნო უბანი, არაუგვიანეს არჩევნებამდე 6 დღისა. თითოეული ოლქი ვალდებული იქნება, რომ მინიმუმ ორი ადაპტირებული უბანი ჰქონდეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

9) დარეგულირდება ბიულეტენის ნამდვილობის შემოწმების წესი. ბიულეტენი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ბათილად მიჩნეული, თუ მონიშნული არ იქნება არც ერთი ან მონიშნული იქნება ერთზე მეტი საარჩევნო სუბიექტი.

როგორც ხედავთ, ჩვენი მხრიდან არის პოლიტიკური ნება და მზადყოფნა, გავატაროთ ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური რეფორმა. ამ ცვლილებებს დასჭირდება ოპოზიციის მხარდაჭერა და პასუხისმგებლობის გაზიარება მათი მხრიდანაც" - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ. გარდა 2020 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებისა, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს შორისაა: პარტიების დაფინანსების წესის ცვლილება, პოლიტიკურ პარტიებს შორის საეთერო დროის გადანაწილება, ცენტრალური და ქვედა დონის საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის მექანიზმი და ა.შ.

## რას ნიშნავს პროპორციული სისტემა და აქამდე რა სისტემა გვქონდა?

არსებული მოდელით საქართველოში საპარლამენტო არჩევნები შერეული წესით ტარდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 150 დეპუტატიდან მოსახლეობა 77 დეპუტატს პარტიული სიით ირჩევდა, ხოლო 73-ს - მაჟორიტარულით. პარტიები, ერთი მხრივ, 150-კაციან პარტიულ სიას წარმოადგენდნენ და, მეორე მხრივ, თითოეულ ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს. ამომრჩეველი საპარლამენტო არჩევნებზე მისვლისას ორ ბიულეტენს იღებდა. აქედან ერთზე ის სასურველ პარტიას ირჩევდა, ხოლო მეორეზე სასურველ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს საკუთარი ოლქიდან. შედეგად, 77 მანდატი პარტიებზე მათ მიერ პარტიული სიით მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდებოდა, 73 ოლქი კი თითო მაჟორიტარს ირჩევდა. პროპორციული წესით მანდატების მისაღებად არსებული მოდელით საჭირო იყო, რომ პარტიას ხმების 5%-ზე მეტი აეღო. 2020 წლიდან კი საარჩევნო სისტემა სრულად პროპორციული გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის 150-ვე მანდატი პარტიული სიებიდან შეივსება. ამგვარად, პარტიების მიღებული ხმებისა და საპარლამენტო მანდატების რაოდენობა უფრო მეტად პროპორციული გახდება. საკონსტიტუციო რეფორმით, არჩევნები პროპორციული წესითა და 5%-იანი ბარიერით 2024 წელს უნდა ჩატარებულიყო. 24 ივნისს ქართულმა ოცნებამ პოლიტიკური გადაწყვეტილება შეცვალა. შედეგად, არჩევნები პროპორციული წესით 2024 წლის ნაცვლად 2020 წელს ჩატარდება, ერთი ცვლილებით – ბარიერი სრულად მოიხსნება. მაჟორიტარული სისტემის გაუქმება პარლამენტთან მიმდინარე აქციის მონაწილეების ერთ-ერთი მოთხოვნა იყო. იქამდე 2020 წლის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარება 20-მა პოლიტიკურმა პარტიამ მოითხოვა. საარჩევნო ბარიერზე არც ერთ მხარეს საჯარო პოზიცია არ დაუფიქსირებია. თუმცა, 2018 წელს, საკონსტიტუციო რეფორმაზე მუშაობის დროს ოპოზიციური პარტიები 5%-იანი ბარიერის 3%-მდე დაწევას ითხოვდნენ. პრეზიდენტ მარგველაშვილის 5-პუნქტიან ვეტოშიც ერთ-ერთი საკითხი ბარიერის 3 პროცენტამდე დაწევა იყო. მაშინ ქართულმა ოცნებამ ოპოზიციისა და პრეზიდენტის მოთხოვნა არ გაითვალისწინა, დღეს კი ნულპროცენტიან ბარიერზე საუბრობს და ოპოზიციურ პარტიებთან კონსულტაციების დაწყებას აანონსებს, ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი მიესალმება 2020 წლის არჩევნების პროპორციული წესით ჩატარებას, თუმცა მათი ნაწილი ბარიერის არარსებობით შექმნილ რისკებზეც მიუთითებს.

**საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა, რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მანდატების განაწილებაში მონაწილეობა მიიღოს.** პროპორციულ საარჩევნო სისტემაში საარჩევნო ბარიერს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. შეუზღუდავი პროპორციული სისტემის შედეგად, პარლამენტში, შესაძლოა, მრავალი პატარა პარტიის ნაკლებგავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენელი მოხვდეს. საარჩევნო გამოცდილება აჩვენებს, რომ ბარიერის დაწესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში დაბალრეიტინგულ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადია, ამ ორგანოში "ამინდს" ვერ შექმნიან, მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და, შემდგომ, საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც. საარჩევნო ზღურბლის დაწესებას რისკები ახლავს. მაღალი ზღურბლის შემთხვევაში შეიძლება ზღვარგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მოწინააღმდეგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები აღმოჩნდნენ. მით უმეტეს მაშინ, როცა ზღურბლს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება. საქართველო იმ ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, სადაც 3% ბარიერი ყველაზე მისაღებია. 3%-იან ბარიერზე საუბრობდნენ საკონსტიტუციო რეფორმის დროსაც და 3%-იან ბარიერზე საუბრობენ ახლაც. იმავე რეკომენდაცის იძლეოდა ვენეციის კომისიაც საკონსიტიტუციო რეფორმაზე მუშაობის პერიოდში.



ოპოზიციის ნაწილმა ივარაუდა, რომ ნულოვანი ბარიერით ხელისუფლებას შესაძლებლობა ექნება სხვადასხვა პარტიის სახელით შეიყვანოს პარლამენტში საკუთარი მოკავშირე პირები და ისევ შექმნას საპარლამენტო უმრავლესობა. იმავეს ფიქრობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, ანა დოლიძე და განმარტავს, რომ "პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა "ერთკაციან" პარტიებს გაეხსნება". სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) მიესალმება საპარლამენტო არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებას, მაგრამ ბარიერის გაუქმებაში რისკებს ხედავს. მათი პოზიციით, საარჩევნო ბარიერის გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს დიდი რაოდენობის ძალიან მცირე მხარდაჭერის მქონე პარტიების მოხვედრა საკანონმდებლო ორგანოში, რაც, სავარაუდოდ, უარყოფითად აისახება პარლამენტის მუშაობის ეფექტურობაზე. პარლამენტში პარტიების არაგონივრულად დიდი რაოდენობის პირობებში შესაძლოა გართულდეს მთავრობის ფორმირება ან შეიქმნას პოლიტიკური კრიზისებისა და არასტაბილურობის საფრთხე. ISFED-ში აცხადებენ, რომ არაგონივრულად დაბალი ბარიერით არჩევნების ჩატარება გაზრდის პარტიულ ფრაგმენტაციას და გამოიწვევს ისეთი პარტიების შექმნასა და პარლამენტში მოხვედრას, რომლებსაც საპარლამენტო მუშაობაში ადეკვატურად ჩართვის რესურსი და შესაძლებლობა არ ექნებათ. ამის მაგალითია 2%-იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარებული 1992 წლის არჩევნების შედეგები, რომელშიც სახეზე იყო პოლიტიკური პარტიების მასობრივად შექმნის ტენდენცია. გონივრული საარჩევნო ბარიერის არსებობა ემსახურება პარტიების გაძლიერებას, ამომრჩეველთან მუდმივ მუშაობას და ამასთან, აზღვევს ანტისისტემური, რადიკალური ძალების შესვლას საკანონმდებლო ორგანოში, თუ მათ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა არ აქვთ. ამასთან, ერთეულ ლიდერზე ორიენტირებული და ძლიერი პლატფორმის არმქონე პარტიების პირობებში, პარლამენტში გადაწყვეტილების მიღების პროცესი შესაძლოა ინდივიდების ვიწრო ინტერესებს და ფინანსურ თუ სხვა სარგებელს დაეფუძნოს.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები წინგადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას. ამასთან, საუბრობენ ნაკლოვანებებზეც, მათი ნაწილი ეჭვობს, რომ ნულოვანი ბარიერი არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს გამოიწვევს. მათი თქმით, 3-5%-იანი ბარიერი იქნებოდა ოპტიმალური და ამ საკითხზე ხელისუფლებასთან მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" შეფასებით, მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებული წესი ზრდის, როგორც ფარდის უკან პარტიული გარიგებების, ისე გადაწყვეტილებების მიღების ტემპის შეჩერების ალბათობას. ამასთან საია ამბობს, რომ ახალი წესით, თითქმის არ დარჩება საზოგადოების სეგმენტი, რომელიც მსჯელობის პროცესში არ იქნება ჩართული და რომლის პოზიციაც მაღალი ტრიბუნიდან არ გაჟღერდება. ბარიერის გაუქმების რისკებზე საუბრობს არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები". ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ამან შეიძლება დიდი რაოდენობით ძალიან მცირე მხარდაჭერის მქონე პარტიების მოხვედრა გამოიწვიოს საკანონმდებლო ორგანოში.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის ხელმძღვანელს, გიორგი მშვენიერაძეს ნულოვანი ბარიერის ძირითად ნაკლოვანებად მთავრობის დაკომპექტების გაჭიანურება მიაჩნია. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ დაბალი ბარიერი უფრო მეტად გამოხატავს საზოგადოების განწყობებს: "პარლამენტში ხვდება ბევრი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების პარტია, ამ დროს ჭირს ხოლმე მთავრობის დაკომპლექტება და დროში იწელება. შეიძლება კონსენსუსიც ვერ შედგეს. ეს ახასიათებს დაბალ ბარიერებს... დადებითი ის არის, რომ ფაქტობრივად ყველა ჯგუფისთვის გარანტირებულია ადგილი საკანონმდებლო ორგანოში და მათი ხმის გაჟღერება საკანონმდებლო ტრიბუნებიდან". გიორგი მშვენიერაძის თქმით, პარლამენტი გახსნილი იქნება ყველა ჯგუფისთვის, მათ შორის, ჰომოფობიური ან საბჭოური ნოსტალგიის მქონეთათვის, თუმცა მისივე განცხდებით, სწორედ ესაა დემოკრატიის მანიშნებელი: "ამას განათლება და დისკუსია უნდა დავუპირისპიროთ. შეუძლებელია, ჰომოფობიის ან ქსენოფობიის ან რუსოფობიის აღმოფხვრა ძალით. რაც უფრო მეტი დისკუსია იარსებებს საზოგადოებაში კონკრეტულ თემებზე, მით უფრო გაიხსნება საზოგადოების სწორი წარმოდგენები".

"ბარიერის დაწევა პარლამენტის ნოეს კიდობნის პრინციპით დაკომპლექტებაა", – ამბობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი, ანა დოლიძე და განმარტავს, რომ პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა დაბალრეიტინგულ პარტიებს გაეხსნება: "ხელისუფლებამ დათმო მაჟორიტარები და ეს შემოაქვს მაგათ ნაცვლად. მერე გარიგებებს დაალაგებენ ამ 1-2-კაციან ჯგუფებთან. მათთან გარიგებების დალაგებებით კი მოხდება უმრავლესობის ფორმირება... 3-პროცენტიანი ბარიერი იქნებოდა უკეთესი ფილტრი. ამ შემთხვევაში, მცირე ჯგუფებს გაერთიანება მოუწევდათ. ბარიერის გარეშე კი "ერთკაციანებს" ექნებათ ამბიცია, შევიდნენ პარლამენტში, არ გაერთიანდნენ და მერე ცალ-ცალკე იყიდონ". ანა დოლიძე ამბობს, რომ, რეალურად, ხალხმა მოიპოვა პროპორციული არჩევნების საკითხი და ახლა მთავარია, რომ პარლამენტში დღის წესრიგზე ორიენტირებული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ვინაიდან ფაშისტური ჯგუფებიც შევლენ პარლამენტში.

მაჟორიტარული სისტემის ცვლილებას, თუნდაც ნულოვანი ბარიერით, უფრო დადებითად აფასებს ევროპული საქართველოს დეპუტატი, ოთო კახიძე. ის აღნიშნავს, რომ ზოგადად, 3-5%-მდე ზღვარი მიიჩნევა ოპტიმალურად, რათა შემდგარი პოლიტიკური პარტიები არსებობდეს და პოლიტიკური კრიზისის რისკი იყოს დაზღვეული: "ჩვენი ტრადიციის ქვეყნებში მაჟორიტარული სისტემა უდიდეს უპირატესობას აძლევს მმართველ პარტიას. ტრადიციულად იყენებენ ადმინისტრაციულ რესურსს, რაც აძლევთ საშუალებას, გაიყვანონ პრაქტიკულად ყველა მაჟორიტარი. ეს არის მანკიერი სისტემა. რაც შეეხება პროპორციული სისტემის თავისებურებას, ნამდვილად პრობლემურია ნულოვანი ბარიერი იმ კუთხით, რომ ნაკლებად სტაბილურია პოლიტიკური გარემო და მეტია კრიზისების ალბათობა". რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი თამარ კორძაია ფიქრობს, რომ ნულოვანი ბარიერი ქვეყანაში ქაოსს შექმნის. მისივე განცხადებით, ხელისუფლებას შესაძლებლობა ექნება, სხვადასხვა პარტიის სახელით შეიყვანოს პარლამენტში საკუთარი მოკავშირე პირები და ისევ შექმნას საპარლამენტო უმრავლესობა. "მმართველი გუნდი შეძლებს ისევ ადვილად გადაიბიროს ცალკეული პარტიებიდან შესული პოლიტიკოსები, როგორც ეს მაჟორიტარებთან მიმართებაში იყო შესაძლებელი... მნიშვნელოვანია, სწორედ ის, რომ ჩვენ ახლა დავიწყოთ დიალოგი და ხელისუფლებამ ისე არ მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან ჩვენი საზოგადოება ითხოვს დიალოგს და არა ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას. კარგია, რომ უკან დაიხია ხელისუფლებამ. იქ ძალიან გონიერი ადამიანები დგანან და ისინი მიხვდებიან, ივანიშვილს რა უნდა ამით", – ამბობს თამარ კორძაია.

„საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში კონსტიტუციაში 5%-იანი საარჩევნო ბარიერია ასახული. ამის მიზანი და ამოცანაა, რომ უზრუნველყოფილი იყოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სტაბილურობა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში 5%-იანი ბარიერი უნდა დარჩეს და ასეც იქნება. რაც შეეხება ნულოვან, ბუნებრივ ბარიერს, ეს არის ერთჯერადი. მიზანია, სწორი გარდამავალი პერიოდის შექმნა. რა თქმა უნდა, ეს იქნება გამოწვევა, პოლიტიკური სისტემისთვის, საზოგადოებისთვის. არის იმის რისკი, რომ მაგალითად ნულოვანი ბარიერის პირობებში ვერ ჩამოყალიბდეს სტაბილური მთავრობა, ასეთ რისკებს ძალიან ბევრი განვითარებული ევროპული ქვეყნების მაგალითზე ვხედავთ. გერმანიაში 5%-იანი ბარიერის პირობებშიც კი გაჭირდა მთავრობის ჩამოყალიბება, თვეები დასჭირდა ამას. ბუნებრივია, ასეთი რისკები იქნება. პროპორციულ არჩევნებთან არის დაკავშირებული ზოგადად ასეთი რისკები. ყველაფერი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ჩვენ ხელი შევუწყოთ პოლიტიკური სისტემის კონსოლიდაციას, პოლარიზაციის ხარისხი უნდა შემცირდეს. თუ ასეთი პასუხისმგებლობით მიეკიდება თითოეული სუბიექტი და მთლიანად საზოგადოება ამ პროცესს, ასეთ შემთხვევაში ნულოვანი ბარიერი, პროპორციული სისტემა პრობლემებს არ შექმნის, პირიქით ხელს შეუწყობს პარტიული სისტემის კონსოლიდაციას", - განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ.

**აღსანიშნავია, რომ ბარიერი ფორმალურად უქმდება, ბუნებრივი ბარიერი, რომელიც დაახლოებით, 0.66%-ია, მაინც იარსებებს. შესაბამისად, კითხვაზე "ერთ ხმას თუ ავიღებ მაინც მოვხვდები პარლამენტში?", პასუხია – არა, ერთი ხმით პარლამენტში ვერ მოხვდებით. პარტიას, დაახლოებით, 12 000-დან 15 000-მდე ადამიანის ხმა სჭირდება იმისთვის, რომ პარლამენტში 1 ადგილის მოპოვება მაინც შეძლოს.**

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# საოკუპაციო ძალებმა ე.წ. საზღვრის გავლება განაახლეს

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგუტიანთკარის მახლობლად განაახლეს ე.წ. საზღვრის გავლება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საოკუპაციო ძალების მხრიდან ხელოვნური ბარიერების აღმართვის უკანონო პროცესი 7 აგვისტოს განახლდა.

სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის კომენტარის თანახმად: „ინფორმაციის მიღებისთანავე საგარეო უწყებამ აამოქმედა ყველა მის ხელთ არსებული ბერკეტი. დაუყოვნებლივ მოხდა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფარგლებში არსებული ცხელი ხაზის ამოქმედება. საქმის კურსში ჩავაყენეთ საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები.”

ქართული მხარე აუცილებლად მიიჩნევს საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან პროცესის სათანადოდ შეფასებას და რუსეთისთვის მოწოდებას, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები.

საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, საოკუპაციო ხაზზე უკანონო სამუშაოები უარყოფითად აისახება სამშვიდობო მოლაპარაკებებზე და კიდევ უფრო ართულებს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ისედაც მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობას და უსაფრთხოების გარემოს.



# ამერიკელი მკვლევარი ბრაიან უიტმორი – დღეს ჩვენ ყველა ქართველები ვართ

2008 წელს რომ გაგვემახვილებინა ყურადღება იმაზე, თუ რას აკეთებდა რუსეთი მისი მეზობლების წინააღმდეგ, მივხვდებოდით, რომ მომავალში ეს ჩვენი პრობლემაც გახდებოდა, - ამის შესახებ ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის მკვლევარმა ბრაიან უიტმორმა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციასთან 2008 წლის აგვისტოს ომზე საუბრისას განაცხადა.

მისი შეფასებით, საქართველოს უსაფრთხოება დღეს არანაირად არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოება იყო ცივი ომის პერიოდში.

„სამწუხაროდ, ომმა ძალიან გვიან შეცვალა დასავლეთის გეოპოლიტიკური ხედვები. 2008 წელს რომ გაგვემახვილებინა ყურადღება იმაზე, თუ რას აკეთებდა რუსეთი მისი მეზობლების წინააღმდეგ, მივხვდებოდით, რომ მომავალში ეს ჩვენი პრობლემაც გახდებოდა. 11 წლის წინ რუსეთი შეიჭრა საქართველოში და რუსეთისთვის ამას არ მოჰყოლია არანაირი საფასური. შედეგად, დღეს ჩვენ ყველა ქართველები ვართ, რადგან რაც 2008 წელს რუსეთმა საქართველოში გააკეთა, იყო ის თარგი, რა თარგითაც მან შემდეგ არა მარტო უკრაინაში, არამედ დასავლეთშიც იმოქმედა. მე ვგულისხმობ ჰაკერულ შეტევებს, დეზინფორმაციას, საშინაო საქმეებში ჩარევას და ისინი აგრძელებენ ამის გაკეთებას.

ნელ-ნელა ხალხი ხვდება, რომ ეს სისტემური კონფლიქტია ორი სხვადასხვა იდეის მატარებელ სისტემებს შორის. დასავლეთი დაფუძნებულია კანონის უზენაესობასა და ინსტიტუტებზე, ხოლო აღმოსავლეთი - კორუფციაზე, კლიენტალიზმსა და შერჩევით სამართალზე. საქართველო ფრონტის ხაზია ამ დაპირისპირებაში. ვფიქრობ, საქართველოს უსაფრთხოება დღეს არანაირად არ უნდა იყოს იმაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დასავლეთ გერმანიის უსაფრთხოება იყო ცივი ომის პერიოდში“, - განაცხადა მან “ამერიკის ხმასთან” საუბარში.

# აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტი – ჩვენ არ შევწყვეტთ მუშაობას, სანამ რუსეთი არ შეწყვეტს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციას

მივიღეთ ცნობები, რომ რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა დე-ფაქტო ხელისუფლებამ დაიწყო ბორდერიზაციის პროცესი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ზოლის მიმდებარედ არსებულ სოფელში, ეს ქმედებები საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას,- ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის 8 აგვისტოს განცხადებაშია ნათქვამი.




სახელმწიფო დეპარტამენტი აგვისტოს ომის 11 წლისთავს ეხმაურება და რუსეთს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს.

„საქართველოში რუსეთის შეჭრიდან 11 წელი გავიდა. ასობით ადამიანი მოკლეს და დაჭრეს, 190 000 სამოქალაქო პირი კი იძულებით გადაასახლეს. ბევრისათვის კონფლიქტის შედეგები დღემდე გრძელდება: განადგურებული საარსებო წყარო, დაშორებული ოჯახები, თავისუფლად გადაადგილების შეზღუდვა და კერძო საკუთრება, რომელიც ჯერაც არ დაუბრუნებიათ. ბოლო 24 საათის განმავლობაში მივიღეთ ცნობები, რომ რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა დეფაქტო ხელისუფლებამ დაიწყო ბორდერიზაციის პროცესი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული გამყოფი ზოლის მიმდებარედ არსებულ სოფელში. ბორდერიზაციის დასრულების შემთხვევაში სოფელს საირიგაციო სისტემა ჩაეკეტება. ეს ქმედებები საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას“, - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერის განცხადებაშია ნათქვამი, რუსეთი მუდმივად არღვევს ქართველი ხალხის უსაფრთხოებისა და საკუთრების უფლებებს.

„როგორც დღევანდელი მოვლენებიც ცხადყოფს, რუსეთი მუდმივად არღვევს ქართველი ხალხის უსაფრთხოებისა და საკუთრების უფლებებს. მეტიც, საქართველოში რუსეთის შეჭრა და მისი ტერიტორიის ოცი პროცენტის ოკუპაცია წარმოადგენს გაეროს ქარტიის, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების უხეშ დარღვევას.

ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, გააუქმოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება”,- ნათქვამია განცხადებაში.

აშშ მოუწოდებს რუსეთს, რომ სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

„ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთის ფედერაციას, სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით, 2008 წლის 12 აგვისტოს მიღებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ძალების გაყვანის შესახებ. ასევე, მოვუწოდებთ რუსეთს, მიიღოს და შეასრულოს პირობა საქართველოს მიმართ ცეცხლის გამოუყენებლობის შესახებ. ჩვენ მანამდე არ შევწყვეტთ მუშაობას, სანამ რუსეთი არ შეწყვეტს საქართველოს სუვერენული ტერიტორიის ოკუპაციას.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული ადამიანისა და დევნილის სახლში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნების უფლებას.

და ბოლოს, ჩვენ ქართველი ხალხის გვერდით ვდგავართ და ველით იმ დღეს, როდესაც ერთად აღვნიშნავთ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის დასრულებას“, - ნათქვამია განცხადებაში.

## მონატრება

### ჯემალ ჯანიბეგაშვილი



ჩვენო საყვარელო, ძვირფასო ჯემალ, ჩვენ ერთ ოჯახში გავიზარდეთ, დედმამიშვილებივით ვგრძნობდით თავს, საკუთარ ძმად მიგვაჩნდი და გაღმერთებდით, ერთმანეთის წარმატება გვიხაროდა, წარუმატებლობა კი გულს გვტკენდა. შენი ნიჭიერებით და ბეჯითი სწავლით მიაღწიე იმას, რომ გახდი პირველი კლასის მფრინავი და შემდგომ ხომალდის მეთაური. 30 წელზე მეტი შეალიე საყვარელ საქმეს და დამსახურებულად გახდი ომისა და შრომის ვეტერანი. მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდი დაკისრებულ მოვალეობას. დაჯილდოებული ხარ მრავალი სიგელითა და ჯილდოთი. როცა ავღანეთში, შემდეგ კი აფხაზეთში ომის დროს გიწევდა ფრენა, შენს ცოლ-შვილთან ერთად, ჩვენც არანაკლებ განვიცდიდით და ვღელავდით. უფლის მადლით ყოველთვის წარმატებულად და მშვიდობიანად დამთავრდა თითოეული ფრენა. ბევრი სიკეთე და სითბო გაქვს გაკეთებული მრავალი დედოფლისწყაროელისათვისაც, რომლებსაც შენი ხომალდით უწევდათ ფრენა.

ალბათ, შენზე ბედნიერი ადამიანი არ იქნებოდა, რომ არა ის საშინელი წელი, როცა თქვენი ერთადერთი შვილი – გია, მიწას მიაბარეთ. მას მერე 20 წელი გავიდა და მთელი ამ 20 წლის მანძილზე ისე ინტენსიურად მიდიოდით და აკითხავდით გიას საფლავს, თითქოს გუშინ დაკრძალესო. თქვენთან ერთად გიას საფლავს არ ივიწყებდნენ მისი მეგობრები, ხშირად თქვენთან ერთად და თქვენგან დამოუკიდებლადაც აკითხავდნენ და პატივს მიაგებდნენ მის ხსოვნას.

ახლაც ერთი წუთით არ მიუტოვებიათ დოდო, შენი მოსიყვარულე მეუღლე. ნათესავებს არ გვაცდიდნენ, თვითონვე გაინაწილეს დაკრძალვის ხარჯები და საქმე და ბოლომდე გვერდში ედგნენ ოჯახს, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით თითოეულ მათგანს. პარალელურად არ ივიწყებდით თათიას – გიას ერთადერთ შვილს, რომელიც მართალია, დედის და მეორე ბებიის სახლში იზრდებოდა, ისევე ზრუნავდით, სითბოსა და სიყვარულს არ იშურებდით, უმამობა რომ არ ეგრძნო. თათია ლაღი, თამამი და სიყვარულით სავსე გოგონა ჩამოყალიბდა. მან გერმანიაში მიიღო უმაღლესი განათლება, დააფასა თქვენი ამაგი და ვიცი, რომ თავის მოსიყვარულე ბებიებს- დოდოს და დარეჯანს, ბაბუა ჯონის იმედებს არ გაუცრუებს და მათზე იზრუნებს.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩემო ძმაო.

**დეიდაშვილების სახელით:**
ნანა შანშიაშვილი

ფატი და ლუიზა ზურაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ მანანა ხმალაძეს და მერაბ იაკობიშვილს დედის

მარგო ხმალაძის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა 4 აგვისტოს, სოფელ ნუკრიანში.

# სიახლე მოსწავლეებისთვის – სკოლებში ფიზიკას, ბიოლოგიას და ქიმიას ერთ საგნად აღარ ასწავლიან

VII კლასში ფიზიკა, ბიოლოგია და ქიმია წლევანდელი სასწავლო წლიდან კომბინირებულად აღარ ისწავლება, - ამის შესახებ ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსმა მარიამ ჩიქობავამ განაცხადა.

მისი თქმით, მიმდინარე წელს VII კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში ძირეული ცვლილებები ელოდებათ. მარიამ ჩიქობავას განმარტებითვე, სასწავლო პროგრამები სრულად განახლებულია და 2019-2020 სასწავლო წლისთვის მოსწავლეები მე-7 კლასში ახალი სახელმძღვანელოებით ისწავლიან.

„სხვა ბევრ სიახლესთან ერთად, კიდევ ერთი ამბავი გვაქვს. თუკი აქამდე მე-7კლასში კომბინირებული სახით ისწავლებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ახლა ეს საგნები დაიშალა, არ გვექნება კომბინირებული კურსი. წლევანდელი სასწავლო წლიდან სიახლე ისაა, რომ მე-7 კლასში ისწავლება ბიოლოგია და ფიზიკა, ხოლო მერვე კლასიდან - ქიმია,“ - განაცხადა მარიამ ჩიქობავამ.



# საბანკო ასოციაციის პრეზიდენტი – ბოლო პერიოდში კვლავ იმატებს კიბერ თაღლითობის შემთხვევები

საბანკო სექტორში კიბერუსაფრთხოების საკითხი დღის წესრიგში დადგა. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში კვლავ იმატებს „ფიშინგის“ შემთხვევები, - ამის შესახებ ჟურნალისტებს საბანკო ასოციაციის პრეზიდენტმა, ალექსანდრე ძნელაძემ საბანკო ასოციაციის ორგანიზებით კიბერდანაშაულთან, კერძოდ „ფიშინგთან“ დაკავშირებით გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

როგორც ძნელაძე აცხადებს, საბანკო სექტორში კიბერდანაშაულის შემთხვევები მნიშვნელოვნად მზარდია. მისივე თქმით, შეხვედრაზე მხარეების მიერ გამოითქვა მზაობა აღნიშნულ საკითხზე კოორდინირებულ მუშაობასთან დაკავშირებით.

„შევთანხმდით ინფორმაციის გაცვლაზე, რადგან დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება არის პრევენცია, პრევენცია როგორც საფინანსო ინსტიტუტებისგან, ისე სტრუქტურებისგან, ვისაც მოეპოვება აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებით ინფორმაცია. მეორე მხარეა ინფორმაციის გავრცელება და მიტანა ყველა მომხმარებლამდე, რა სახის თაღლითობები არსებობს და როგორ შეუძლიათ მათგან თავის დაცვა“, - განაცხადა ძნელაძემ.



## ულოცავენ!

### ციური ბენაშვილს!

ძნელი დასაჯერებელია, რომ უკვე 70 წლის უნდა გახდე. ისევ იმ ახალგაზრდული ენერგიით უძღვები შენს ოჯახს, როგორც 42 წლის უკან. ხარ ისევ ისეთი შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული, გულმოდგინე, პასუხისმგებლიანი და მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. ოთხი ათეული წლის განმავლობაში არ გიღალატია ოჯახსა თუ სამსახურში შენზე დაკისრებული მოვალეობისთვის. მუდამ ერთგულად ემსახურებოდი ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველებს. ამიტომაც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდი. გულწრფელად და დიდი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს შეგრჩენოდეს ახალგაზრდული ენერგია. გაიხარე შენს საუკეთესო შვილებთან, შვილიშვილებთან და რძლებთან.

ღმერთი გფარავდეს.

**პატივისცემით და სიყვარულით,**

ლია ფიროსმანაშვილი, ქუჟუნა ჯაგაშვილი და ანგელინა ღორაშვილი.


## ი ყ ი დ ე ბ ა !

ქ. დედოფლისწყაროში იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა ლოჯით, სარდაფით და ავტოფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მისამართი: რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40, ბინა 13, 1 სართული. ფასი 19 000$. (ფასზე შეთანხმება შესაძლებელია).

☎ 599 855832

იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ

☎ 591092478

იყიდება კერძო, ორსართულიანი, კაპიტალური ბინა 922 კვმ. ბუნებრივი აირით, წყლით, უზრუნველყოფილია ინტერნეტით. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, გურამიშვილის ქ № 17.
დაგვიკავშირდით:

☎ 555 15 46 46

იყიდება პლასტმასის, შავი ფერის ყუთები საკვები პროდუქტებისათვის.
თითოეულის ფასი
1 ლარი
მსურველებმა დარეკეთ

☎ 591 101524


## ყურადღება!

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოსთან პარტნიორობით და საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან თანაპარტნიორობით, იწყებს საგანმანათლებლო პროექტს „დაიწყე და განავითარე ბიზნესი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ყველა რეგიონში მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ტრენინგების ჩატარებას ბიზნესის სხვადასხვა მოდულში ბიზნესის ამავე სეგმენტის სტიმულირების და განვითარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში, საწყის ეტაპზე ბენეფიციარები გადამზადდებიან ორ მოდულში:

**შეიმუშავე შენი ბიზნეს იდეა (GYB)**

**დაიწყე საკუთარი ბიზნესი (SYB)**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროექტ „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ კავშირი ექნება „აწარმოე საქართველოში“ სააგენტოს საგრანტო პროგრამასთან. კერძოდ, მსგავსად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და იძულებით გადაადგილებული პირებისა და ქალი მეწარმეებისა, ზემოაღნიშნული პროექტის ბენეფიციარებს მიენიჭებათ ერთი დამატებითი ქულა, მაგრამ კონკურენციაში არ შევლენ ჩამოთვლილ პრივილიგირებულ ჯგუფებთან.

ტრენინგებზე დასწრება უფასო იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

სააგენტო მოგმართავთ თხოვნით, დახმარება აღმოგვიჩინოთ ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის წარმატებით განხორციელებაში. კერძოდ, მოახდინოთ შესაძლო დაინტერესებული პირების ინფორმირება, განსაკუთრებით არსებული ან/და პოტენციური მიკრო და მცირე მეწარმეების, რომელთაც სურთ შეიმუშაონ ეფექტური ბიზნეს იდეა და დაიწყონ ან/და განავითარონ თავიანთი ბიზნესი. ასევე, გთხოვთ, დაგვეხმაროთ სატრენინგო სივრცეების მოძიებაში, რომელიც აღჭურვილი იქნება საპრეზენტაციო ტექნიკით. ამასთან, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ქეითერინგის მომსახურების გამწევი პირების სია.

პროექტი დაიწყება სექტემბრის პირველ ნახევარში, ხოლო მანამდე აგვისტოს თვის დასაწყისში ჩატარდება ე.წ. დემო/საცდელი ტრენინგები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტს საქართველოში კოორდინაციას უწევს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“. პროექტს ხელმძღვანელობს ამავე სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნიკა მამუკელაშვილი (ელ. ფოსტა:
nmamukelashvili@encerprise.gov.ge;)

მობ: 599 04 05 14).

## ამინდი დედოფლისწყარო

| | დღე | ღამე |
|---|---|---|
| ორშაბათი 12.08 | 22 ° | 20 ° |
| სამშაბათი 13.08 | 21 ° | 20 ° |
| ოთხშაბათი 14.08 | 22 ° | 20 ° |
| ხუთშაბათი 15.08 | 23 ° | 22 ° |
| პარასკევი 16.08 | 23 ° | 22 ° |
| შაბათი 17.08 | 25 ° | 24 ° |
| კვირა 18.08 | 27 ° | 24 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.